შესავალი

2004 წელს ევროკავშირში (European Union) 10 ახალი სახელმწიფოს გაერთიანების და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (European Neighbourhood Policy) ამოქმედების შემდეგ ევროპასა და მის აღმოსავლეთ საზღვრებთან მდებარე ქვეყნებს შორის ურთიერთობები ახალ ფაზაში შევიდა. ამ პოლიტიკის მიზანია, ევროპასა და ახალ მეზობლებს შორის გამყოფი ხაზების თავიდან აცილება და სამეზობლოში სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა. სამეზობლო პოლიტიკა მიზნად ისახავს ევროკავშირსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთდაახლოების პროცესის მხარდაჭერას. 2009 წლიდან ევროპის მეზობელი ექვსი ქვეყანა (აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა) ევროკავშირის ერთ-ერთი უახლესი ინიციატივის – აღმოსავლეთ პარტნიორობის (Eastern Partnership) მონაწილეა. აღმოსავლეთ პარტნიორობა არის ევროკავშირის პასუხი აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნებში არსებულ გამოწვევებსა და სურვილებზე.

ევროკავშირი თავის პარტნიორებს სთავაზობს, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმებების ხელმოწერის ჩათვლით, ასოცირების შესახებ ახალ შეთანხმებებს იმ ქვეყნებთან, რომლებსაც აქვთ სურვილი და შესაძლებლობა უფრო მეტად დაუახლოვდნენ ევროკავშირს. თანდათანობითი ინტეგრირებას ევროკავშირის ეკონომიკაში და გამარტივებული მიმოსვლა სავიზო სისტემის თანდათანობით ლიბერალიზების გზი , რასაც თან უნდა ახლდეს შესაბამისი ზომების მიღება არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ.

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის (Civil Society Forum) შექმნის იდეა, აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ოფიციალურ ამოქმედებასთან ერთად, დამტკიცდა და მასში აღმოსავლეთ პარტნიორი ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ჩაერთვნენ. ევროკომისიამ თავის 2008 წლის აღმოსავლეთ პარტნიორობის კომუნიკეში აღნიშნა, რომ აღმოსავლეთ პარტნირობის ქვეყნებში მიმდინარე რეფორმები, საჯარო სამსახურების ზედამხედველობის გასაუმჯობესებლად და მათ მიმართ სამოქალაქო ნდობის გასაძლიერებლად, მოითხოვს სამოქალაქო საზოგადოების უფრო ძლიერ ჩართულობას. სამოქალაქო საზოგადოების ფორუმმა ხელი უნდა შეუწყოს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარებას, მათ შორის თანამშრომლობას, საჯარო დაწესებულებებთან დიალოგს, აღმოსავლეთ პარტნიორობის მიზნების მიღწევას პარტნიორ ქვეყნებში.

აღმოსავლეთ პარტნიორობის არსი

აღმოსავლეთ პარტნიორობის შექმნის ინიციატივა პოლონეთსა და შვედეთს ეკუთვნის. მას შემდგომ ევროკომისიის მხარდაჭერა მოჰყვა. შედეგად, 2008 წლის 3 დეკემბერს ევროკომისია წინადადებით წარდგა ევროპარლამენტის და ევროპის საბჭოს წინაშე ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებთან (აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა) აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის დაწყების თაობაზე.

2009 წლის 7 მაისს, პრაღის სამიტზე, აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის დაწყების შესახებ გამოცხადდა. იგი ემსახურება ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის პოლიტიკურ ასოცირებასა და ეკონომიკურ ინტეგრაციას. პროგრამა აგებულია საერთო ინტერესებსა და ვალდებულებებზე, ეფუძნება ჩართულობას, ურთიერთპასუხისმგებლობას და იმართება განსხვავებულობის, პირობითობისა და სრული გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით.

აღმოსავლეთ პარტნიორობისადმი მიძღვნილი მეორე სამიტი 2011 წლის სექტემბერში ვარშავაში გაიმართა. სამიტის მონაწილეებმა აღნიშნეს სხვადასხვა სფეროში მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესი, დაადასტურეს რეფორმების გაღრმავების აუცილებლობა და საერთო ღირებულებებისადმი ერთგულება.

აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაში მონაწილე ქვეყნებისა და მთავრობათა მეთაურები ორ წელიწადში ერთხელ იკრიბებიან, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრები ერთმანეთს ყოველწლიურად ხვდებიან. პარტნიორობასთან დაკავშირებულ თემატურ პლატფორმათა შეხვედრები იმართება ექვს თვეში ერთხელ.

მიზანი

აღმოსავლეთ პარტნიორობის მიზანია პარტნიორ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური რეფორმების მხარდაჭერა და მათი დაახლოება ევროსაბჭოსა და ევროკავშირის სტანდარტებთან.

ამოცანები

აღმოსავლეთ პარტნიორობის მიზნის მისაღწევად შემდეგი ამოცანები განისაზღვრა:

- პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების გაღრმავება ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის;
- უსაფრთხოების, სტაბილურობისა და დემოკრატიული მმართველობის ხელშეწყობა;
- პარტნიორულ ურთიერთობათა დამყარება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და მთავრობებს შორის;
- სავიზო რეჟიმის გრძელვადიანი ლიბერალიზაციის გზით ადამიანებს შორის კონტაქტების დამყარების ხელშეწყობა;
- ენერგოუსაფრთხოების გაზრდა;
- სხვადასხვა სექტორში რეფორმების მხარდაჭერა და გარემოს დაცვა.

ძირითადი ღირებულებები

აღმოსავლეთ პარტნიორობა ეფუძნება საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ძირითად ღირებულებებს, მათ შორის:

- დემოკრატიასა და კანონის უზენაესობას;
- ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემას;
- საბაზრო ეკონომიკასა და მდგრად განვითარებას.

ევროკავშირის ურთიერთობის დონე თითოეულ პარტნიორ ქვეყანასთან დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად პატივს სცემს ესა თუ ის ქვეყანა ამ ღირებულებებს.

ამოცანების შესრულება

აღმოსავლეთ პარტნიორობა ხორციელდება შემდეგი ინსტიტუციური სტრუქტურებით:

- *აღმოსავლეთ პარტნიორობის ინსტრუმენტი,* რომელსაც ახორციელებს ევროპული საბჭო (European Council)*;*

- *EURONEST-ის საპარლამენტო ასამბლეა* _ კონსულტაციები, კონტროლი და მონიტორინგი საპარლამენტო დონეზე პარტნიორობის მხარდასაჭერად;

- *ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა ევროპული კომიტეტი* (European Economic and Social Committee) პასუხისმგებელია დიალოგის გაღრმავებაზე დამსაქმებელთა ორგანიზაციებსა და პროფესიულ კავშირებს შორის;

- რეგიონულ და ადგილობრივ სამთავრობო უწყებათა კონფერენცია აღმოსავლეთ პარტნიორობისთვის (Conference of the Regional and Local Authorities for the Eastern Partnership) ხელს უწყობს თანამშრომლობას სახელმწიფო სტრუქტურებსა და მოქალაქეთა შორის პარტნიორობის მიზნების მისაღწევად;

- *აღმოსავლეთ პარტნიორობის ბიზნეს ფორუმი (Eastern Partnership Business Forum)* – ხელს უწყობს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შექმნას;

- *სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი (Civil Society Forum)* აწყობს შეხვედრებს საზოგადოებრივ ორგანიზაციების მონაწილეობით და ხელს უწყობს დიალოგს სამოქალაქო საზოგადოებასა და სამთავრობო უწყებებს შორის პარტნიორ ქვეყნებში.

აღმოსავლეთ პარტნიორობით განსაზღვრული ამოცანები ორმხრივი და მრავალმხრივი ფორმატით ხორციელდება.

ორმხრივი ფორმატი გულისხმობს სტაბილური და დაბალანსებული ურთიერთობების ხელშეწყობას ევროკავშირსა და თითოეულ პარტნიორ ქვეყანას შორის, რაც ხორციელდება მხარეთა შორის ორმხრივ შეთანხმებათა გაფორმებით, როგორებიცაა: ასოცირების შესახებ შეთანხმება, შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, დიალოგი სავიზო რეჟიმის ორმხრივი ლიბერალიზაციისთვის, დაახლოება

სხვადასხვა სექტორში (ეკონომიკა, ენერგეტიკა, გარემოს დაცვა, ტრანსპორტი, მეცნიერული კვლევები და ა.შ.) და ტექნიკური დახმარება.

მრავალმხრივი ფორმატი ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორებს შორის ახალი მასშტაბის თანამშრომლობისა და თავისუფალი დიალოგის შესაძლებლობის შექმნას ემსახურება. ის ხელს უწყობს პარტნიორ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის განვითარებას. მისი დახმარებით პარტნიორები ცვლიან ინფორმაციას და გამოცდილებას გარდამავალ ეტაპზე მიმდინარე რეფორმებისა და მოდერნიზაციის კუთხით გადადგმული ნაბიჯების შესახებ. ამ დონეზე პარტნიორობა საერთო პოზიციების გამომუშავებას და შესაბამისი საქმიანობების განხორციელებას გულისხმობს. მრავალმხრივი ფორმატი აღმოსავლეთ პარტნიორობის ამოცანებს ოთხი თემატური პლატფორმითა და მნიშვნელოვანი ინიციატივებით ახორციელებს.

თემატური პლატფორმები

აღმოსავლეთ პარტნიორობა მოიცავს ოთხ თემატურ პლატფორმას. თემატურ პლატფორმებში მონაწილეობენ სამინისტროების, ეროვნული სააგენტოების, პარლამენტების, სამოქალაქო საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები. თემატური პლატფორმების პროექტებში, საქმიანობებსა და შეხვედრებში მონაწილეობა ნებაყოფლობითია. არსებობს შემდეგი თემატური პლატფორმები:

1. **დემოკრატია, კარგი მმართველობა და სტაბილურობა** – პლატფორმა მხარს უჭერს დემოკრატიულ რეფორმებს პარტნიორ ქვეყნებში, რაც გულისხმობს სახელმწიფო მართვის სფეროს რეფორმირებას, საარჩევნო სტანდარტების სრულყოფას, მასმედიის საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავებასა და კორუფციასთან ბრძოლას, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციას, უსაფრთხოების პოლიტიკის გატარებას. სტაბილურობის, ტერიტორიული მთლიანობის პრინციპებისა და ადამიანის უფლებების დაცვას;

2. **ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა** – პლატფორმა მიზნად ისახავს ეკონომიკურ ინტეგრაციას, პოლიტიკის დაახლოებას ევროკავშირის სამოქმედო პრაქტიკასა და შესაბამის კანონმდებლობასთან. ეს ამოცანები მიიღწევა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ გრძელვადიანი შეთანხმებების დადებით როგორც პარტნიორ ქვეყნებს შორის, ასევე პარტნიორ ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის;

3. **ენერგოუსაფრთხოება** – პლატფორმა გულისხმობს: ენერგოუსაფრთხოების შესახებ დიალოგის წარმართვას, რეგიონული ენერგობაზრების განვითარებას, ენერგომიწოდების მეთოდების დივერსიფიკაციას; სტრატეგიულ კონსოლიდაციას ენერგოკრიზისის შემთხვევაში; პარტნიორ ქვეყნების დაახლოებას ევროკავშირის პოლიტიკასა და კანონმდებლობასთან.

4. **ხალხთა შორის კონტაქტები** – პლატფორმა გულისხმობს კონტაქტების დამყარებას ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებში მცხოვრებ ადამიანებს შორის. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ახალგაზრდობაზე საინფორმაციო საზოგადოებისა და მედიის განვითარების, განათლებისა და კვლევის ხელშეწყობის და, ასევე კულტურული თანამშრომლობის მხარდაჭერის გზით.

ფლაგმანი ინიციატივები

აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში ამოქმედდა ფლაგმანი ინიციატივები, რომლებიც გულისხმობენ კონკრეტული პროგრამების განხორციელებას აღნიშნული ამოცანების შესრულებასა და კონკრეტული შედეგების მისაღწევისათვის. ინიციატივები მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატის ნაწილია და მათ განსახორციელებლად, ევროკავშირის დაფინანსებასთან ერთად, ხდება ფონდების მოზიდვა სხვადასხვა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტისა და კერძო სექტორისგან. დღეისათვის მოქმედებს შემდეგი ექვსი ფლაგმანური ინიციატივა:

1. საზღვრის ინტეგრირებული მართვა – ხორციელდება საუკეთესო პრაქტიკის დანერგვით ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში. საზღვრის ინტეგრირებული მართვა ხელს უწყობს მოქალაქეთა გადაადგილებას ევროპის კონტინენტზე და მოიცავს შემდეგ სფეროებს: ვაჭრობა, საბაჟო, ვიზები, საზღვრის დემარკაცია, უსაფრთხოება (კონტრაბანდა და ადამიანით ვაჭრობა) და პანევროპული სატრანსპორტო დერეფნები;

2. მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა – ძირითადი ფუნქცია პარტნიორ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის როლის გაძლიერებაა, რომელიც მიმართულია ბიზნეს კლიმატის და საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესებისკენ; ხორციელდება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, ევროპის საინვესტიციო ბანკის მხარდაჭერით და ღიაა სხვა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისთვის;

3. გარემოს მართვა და რეგიონული ელექტრო ბაზრები, გაუმჯობესებული ენერგოეფექტურობა და განახლებადი წყაროების გამოყენების გაზრდა – ეს ინიციატივა ემსახურება პარტნიორი ქვეყნების, ევროკავშირის და ურთიერთდამაკავშირებელი ქსელების ენერგობაზრების ინტეგრირებას ენერგოეფექტურობის გაზრდის, მიწოდების უსაფრთხოების გაუმჯობესებისა და კლიმატის ცვლილებით განპირობებული ამოცანების შესრულების ხელშეწყობის მიზნით;

4. ბუნებრივი და ტექნოლოგიური ხასიათის კატასტროფათა წინააღმდეგ პრევენცია, მზადყოფნა და ბრძოლა – აღნიშნული ინიციატივა ითვალისწინებს შესაძლებლობათა ზრდას კატასტროფების თავიდან ასაცილებლად და მათი მართვისთვის ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე, მჭიდრო თანამშრომლობის დამყარების გზით როგორც ევროკავშირსა (თემის სამოქალაქო დაცვის მექანიზმი) და აღმოსავლეთ პარტნიორებს, ასევე პარტნიორ ქვეყნებს შორის;

კომისიები (PANELS)

თემატური პლატფორმებით განსაზღვრული საქმიანობები მიმდინარეობს სხვადასხვა დარგის ექსპერტთა მონაწილეობით. ექსპერტები გაერთიანებულნი არიან მუდმივ ან დროებით სამუშაო ჯგუფებში, რომლებიც იკრიბება პლატფორმათა საჭიროებების მიხედვით. სადღეისოდ ფუნქციონირებს შემდეგი სამუშაო ჯგუფები:

- საზღვრის ინტეგრირებული მართვა;
- კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა;
- საჯარო ადმინისტრირების რეფორმა;
- სასამართლო სისტემის გაუმჯობესებული ფუნქციონირება;
- მიგრაცია და თავშესაფარი;
- გარემოსა და კლიმატის ცვლილება;
- ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული რეგულაციების სფეროებში თანამშრომლობა დაკავშირებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებთან;
- მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკა;
- ტრანსპორტი;
- სოფლის მეურნეობა და განვითარება;
- კვლევა და ინოვაცია.

ფინანსირება

2009 წლის მარტში ევროსაბჭოს მიერ *აღმოსავლეთ პარტნიორობის დეკლარაციის* მიღების კვალვაკვალ, თითოეული პარტნიორი ქვეყნის მიერ მიღწეული პროგრესის გათვალისწინებით, გამოიყო გაზრდილი დაფინანსება აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად.

ევროკომისიის მიერ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ განხორციელების მიზნით 2010-2013 წლებისთვის გამოყოფილია 600 მლნ. ევრო, რომელიც ევროპული სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტია (ENPI). ეს რესურსები სამი ძირითადი მიზნით გამოიყენება:

1. დახმარება პარტნიორ ქვეყნებს ყოვლისმომცველი ინსტიტუციონალური განვითარების პროგრამის ფარგლებში (Comprehensive Institutional Building) – 175 მლნ. ევრო;

2. რეგიონული განვითარების პროგრამები (Regional Development Programmes), რომლებიც მიმართულია პარტნიორ ქვეყნებს შორის ეკონომიკური და სოციალური განსხვავებების აღმოსაფხვრელად – 75 მლნ. ევრო;

3. „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მრავალმხრივი თანამშრომლობის (EaP Multilateral Dimension) განვითარება – 350 მლნ. ევრო.

ამასთან, 2012 წელს ევროკავშირმა „მეტი მეტისთვის“ მიდგომის ფარგლებში დამატებითი რესურსები გამოყო იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც დემოკრატიზაციის კუთხით მეტ რეფორმებს ახორციელებენ. ამ მექანიზმის ფარგლებში, გასულ წელს საქართველომ 22 მლნ. ევრო მიიღო; მოლდოვამ 28 მლნ. ევრო და სომხეთმა – 15 მლნ. ევრო.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მიმდინარე რეფორმების მხარდაჭერის და აღმოსავლეთ ევროპელ პარტნიორებსა და ევროკავშირს შორის მდგრადი ურთიერთობების დამყარების მიზნით, ევროპის საინვესტიციო ბანკი, სხვა რეგიონული და ეროვნულ განვითარებაზე მომუშავე ბანკები და, ასევე ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი ახდენენ დამატებითი ფონდების მობილიზებას ეკონომიკური ზრდის და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშესაწყობად.

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის არსი

ევროკომისიის წინადადება სამოქალაქო ფორუმის შექმნის შესახებ დამტკიცდა პრაღის სამიტზე, 2009 წლის 7 მაისს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის მიღებასთან ერთად, როგორც ამ უკანასკნელის შემადგენელი ნაწილი. ფორუმი ევროპული სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთ განზომილების ნაწილია და მისი მიზანი ევროკავშირსა და პარტნიორი ქვეყნების (აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა) სამოქალაქო საზოგადოებებს შორის კავშირების განვითარებაა, რათა ისინი უფრო აქტიურად ჩაერთონ თავიანთი ქვეყნების საზოგადოებრივ ცხოვრებასა და მიმდინარე რეფორმებში. ფორუმის მნიშვნელოვანი როლი აღიარეს ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიერ მას შემდეგ, რაც მიიღეს გადაწყვეტილება ფორუმის წარმომადგენლების მუდმივ საფუძველზე მიწვევის შესახებ აღმოსავლეთ პარტნიორობის თემატურ პლატფორმებში.

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი აწყობს შეხვედრებს საზოგადოებრივ ორგანიზაციების მონაწილეობით. ამასთან, იგი მხარს უჭერს დიალოგს სამოქალაქო საზოგადოებასა და სამთავრობო უწყებებს შორის პარტნიორ ქვეყნებში, ისევე როგორც ინფორმაციის გაცვლას, გამოცდილების გაზიარებას (მათ შორის, ევროპული ინტეგრაციის სფეროში), პოზიციათა გაცნობას, ადგილობრივი და ევროკავშირის პოლიტიკის შესახებ რეკომენდაციების მიწოდებას.

ნებისმიერი საზოგადოებრივი ორგანიზაციას თუ სამოქალაქო საზოგადოებრივი გაერთიანებას (პროფესიული კავშირები, დამსაქმებელთა ორგანიზაციები, პროფესიული გაერთიანებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ანალიტიკური ცენტრები, ადგილობრივი და საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაციები, ისევე როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოებათა წარმომადგენლები, ევროკავშირის წევრი ქვეყნები და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები) შეუძლია გაერთიანდნენ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმში. საზოგადოებრივი ორგანიზაციები იკრიბებიან წელიწადში ერთხელ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმზე, რომელიც თავს უყრის ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოებათა 200-ზე მეტ წარმომადგენელ ორგანიზაციას. სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მიერ დასახული ამოცანების შესრულებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მმართველი კომიტეტი, რომელიც შედგება 19 წევრისგან: პარტნიორი ქვეყნის წარმომადგენელი 6 ეროვნული კოორდინატორი, სამუშაო ჯგუფის წარმომადგენელი 10

კოორდინატორი და 3 კოორდინატორი ევროკავშირის ქვეყნებიდან. მმართველი კომიტეტი აირჩევა ყოველწლიურად სამოქალაქო საზოგადოების ფორუმზე და მას შემდეგი პასუხისმგებლობები აკისრია: მონაწილეობა ოფიციალური თემატური პლატფორმების შეკრებებში, კომუნიკაცია სამუშაო ჯგუფებთან, ეროვნულ პლატფორმათა განვითარების მხარდაჭერა, ინფორმაციის გაცვლის უზრუნველყოფა და ა.შ.

ფორუმის ახალმა სტრუქტურამ – სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მმართველი კომიტეტის სამდივნომ – საქმიანობა 2013 წლის იანვარში დაიწყო. მისი მიზანი ფორუმის მიერ დასახული ამოცანების შესრულების ხელშეწყობაა. სამდივნოს ყოველდღიური საქმიანობა მმართველი კომიტეტის და, ზოგადად, ფორუმის მუშაობის ხელშეწყობაში მდგომარეობს და იგი სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საინფორმაციო, საკოორდინაციო და ექსპერტული ცოდნის ერთგვარი დამაკავშირებელი რგოლის ფუნქციას ასრულებს. სამდივნო ხელს უწყობს ინფორმირებულობის ზრდას ფორუმის, ეროვნული პლატფორმების და სამუშაო ჯგუფების საქმიანობათა შესახებ და უზრუნველყოფს სამოქალაქო საზოგადოების მეტ ჩართულობას აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში მიმდინარე რეფორმების პროცესში.

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმისა და მმართველი კომიტეტის შეხვედრები ევროკომისიის მიერ ფინანსდება.

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის შეკრებები

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის შექმნის კვალდაკვალ, 2009 წლის ივნისში, ევროკომისიამ მოიწვია საზოგადოებრივი ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლები განაცხადების წარსადგენად აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში მოქმედ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმში მონაწილეობის მისაღებად.

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის პირველი შეკრება ბრიუსელში 2009 წლის 16-17 ნოემბერს შედგა და მასში მონაწილეობა მიიღო ევროპისა და პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენელმა 200-ზე მეტმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ. შეკრების მონაწილეებმა დააფუძნეს მმართველი კომიტეტი, რომელსაც დაეკისრა მონაწილეთა არჩევის პროცედურების შემუშავება სამომავლო ფორუმისთვის.

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მეორე შეკრება ჩატარდა გერმანიის ქალაქ ბერლინში 2010 წლის 18-19 ნოემბერს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში წლის ბოლოსთვის მიღწეული პროგრესის შეჯამების მიზნით. ფორუმის ამოცანებსა და დღის წესრიგთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილება მმართველი კომიტეტის მიერ შემუშავებული წინადადებების საფუძველზე მიიღეს. სახელმწიფოთა და მთავრობების მეთაურებმა, აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონისა და ევროკავშირის ქვეყნების წარმომადგენლებმა დაადასტურეს თავიანთი ერთგულება პარტნიორობის მიზნებისა და მათი განუხრელი განხორციელებისადმი.

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მესამე შეკრება სახელწოდებით „პარტნიორობა დემოკრატიული რეფორმებისა და ევროპული ინტეგრაციისთვის“ გაიმართა პოლონეთის ქალაქ პოზნანში 2011 წლის 28-30 ნოემბერს. შეკრებას დაესწრო აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონის და ევროკავშირის წევრი ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოებათა წარმომადგენელი 300 ორგანიზაცია. შეკრებას დაესწრნენ, აგრეთე ევროკავშირის მაღალი რანგის ოფიციალური პირები. მონაწილეებმა განიხილეს სხვადასხვა საკითხი, მათ შორის, ფორუმის განვითარებასთან დაკავშირებული გამოწვევები და პერსპექტივები, სამოქალაქო საზოგადოების პასუხისმგებლობის ხარისხის გაზრდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში და ა.შ.

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მეოთხე შეკრება სტოკჰოლმში, 2012 წლის 29-30 ნოემბერს ჩატარდა და მას აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონისა და ევროკავშირის ქვეყნების წარმომადგენელი 300-ზე მეტი საზოგადოებრივი ორგანიზაცია დაესწრო. შეკრებაზე განიხილეს სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხი, მათ შორის, კორუფციასთან ბრძოლა, არჩევნების მონიტორინგი, ახალგაზრდობასთან დაკავშირებული პრობლემები, ენერგოუსაფრთხოება, ვიზების ლიბერალიზაცია და სხვ.

2013 წელს პირველად ფორუმი პარტნიორ ქვეყანაში, მოლდოვის დედაქალაქ კიშინიოვში, შეიკრიბება. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის შეკრება 2013 წლის 4-5 ოქტომბერს შედგება.

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნული პლატფორმები

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნული პლატფორმები დასახული მიზნების მისაღწევად ეფექტური საშუალებაა. ეროვნული პლატფორმები შეიქმნა თითოეული პარტნიორი ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაზრდის მიზნით, სამთავრობო უწყებებთან თანამშრომლობის გასააქტიურებლად; რეკომენდაციების შესამუშავებლად აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში მომზადებული პროექტების წარმატებული განხორციელების მიზნით; ევროპულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან სტაბილურ ურთიერთობათა დასამყარებლად და კომუნიკაციის გასაღრმავებლად ევროპულ ინსტიტუტებთან ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე. ეროვნული პლატფორმები, ევროპულ ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად, ღიაა ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

ეროვნული პლატფორმები პარტნიორ ქვეყანაში 2010 წელს ჩამოყალიბდა. მათი შექმნის და ფუნქციონირების მექანიზმს თითოეული პარტნიორი ქვეყანა ინდივიდუალურად აწესებს. საზოგადოებრივი ორგანიზაცია შეიძლება გახდეს ეროვნული პლატფორმის წევრი იმ შემთხვევაში, თუ აკმაყოფილებს კონკრეტული პლატფორმის მიერ წევრობისთვის დადგენილ მოთხოვნებს. ამავდროულად, თითოეულ პარტნიორ ქვეყანას შეიძლება გააჩნდეს ერთადერთი ეროვნული პლატფორმა.

საქართველოში ეროვნული პლატფორმა 2010 წლის ნოემბერში შეიქმნა. იგი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს მთავრობასთან. სადღეისოდ, პლატფორმაში გაწევრიანება შეუძლიათ იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც იზიარებენ ქვეყნის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაში მონაწილეობისა და ევროპული ინტეგრაციისკენ სწრაფვის იდეებს, დაინტერესებულნი არიან რეფორმების განხორციელებით, არიან რეგისტრირებულნი და აქტიურად მოქმედებენ ბოლო 2 წლის განმავლობაში. ეროვნული პლატფორმის დამფუძნებელ კონფერენციაზე მისი სტრატეგიული მიზნები შემდეგნაირად განისაზღვრა:

- სამოქალაქო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ევროპული ინტეგრაციის პროცესის შესახებ;

- აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის პოპულარიზაცია;

- ისეთი პირობების შექმნის ხელშეწყობა, რომელებიც დააჩქარებენ ევროკავშირსა და საქართველოს შორის პოლიტიკური თანამშრომლობის გაღრმავებასა და უფრო მჭიდრო ეკონომიკურ ინტეგრაციას;

- აღმოსავლეთ პარტნიორობის პრაღისა და ვარშავის სამიტების ერთობლივი დეკლარაციებით და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ევროკავშირ-საქართველოს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მიზნების განხორციელების ხელშეწყობა, მათ შორის:

  - ⇨ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ევროკავშირ-საქართველოს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პრიორიტეტული სფეროებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება;

  - ⇨ საქართველოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია, მათ შორის ვაჭრობის და ინვესტირების მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პრაქტიკის ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოება;

  - ⇨ სათანადო პირობების შექმნა ასოცირების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის და მისი შემდგომი ეფექტური განხორციელებისთვის;

  - ⇨ დემოკრატიზაციის, ადამიანის უფლებების დაცვისა და კანონის უზენაესობის სფეროში;

  - ⇨ კოპენჰაგენის კრიტერიუმების შესრულების ხელშეწყობა;

  - ⇨ მოქალაქეების გადაადგილებისა და უსაფრთხო გარემოში, მათთვის ვიზების გამარტივების მხარდაჭერა;

  - ⇨ ენერგოუსაფრთხოების განმტკიცება და თანამშრომლობა გრძელვადიანი, სტაბილური და უსაფრთხო ენერგომიწოდებისა და ტრანზიტის სფეროში;

- მდგრადი განვითარება და გარემოს დაცვა;
- სოციალური დიალოგისა და პარტნიორობის ხელშეწყობა;
- სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა აღმოსავლეთ პარტნიორობასთან მიმართებაში, მათ შორის ინფორმირების, ჩართულობისა და ურთიერთთანამშრომლობის გზით.

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის ვებგვერდის მისამართია: http://eapnationalplatform.ge

ეროვნული პლატფორმის შესაძლებლობათა განმტკიცებას ემსახურება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი „აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნულ პლატფორმათა შესაძლებლობების გაზრდა“. პროექტის დაფინანსების შესახებ ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 2012 წლის 29 ნოემბერს სტოკჰოლმში, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მეოთხე შეკრებაზე. პროექტი მოლდოვის რეგიონალური გარემოსდაცვითი ცენტრის თაოსნობით მიმდინარეობს და მას ახორციელებს ყველა პარტნიორი ქვეყნის წარმომადგენელი საზოგადოებრივი ორგანიზაციათა კონსორციუმი.

ევროკავშირის შესახებ

ევროკავშირი ევროპის კონტინენტზე მდებარე 28 წევრი სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური გაერთიანებაა. ევროკავშირი ფუნქციონირებს ზენაციონალური დამოუკიდებელი ინსტიტუტებისა და წევრ ქვეყნებს შორის შეთანხმებული მთავრობათაშორისო გადაწყვეტილებების საფუძველზე. ევროკავშირის ინსტიტუტებია: ევროკომისია, ევროკავშირის საბჭო, ევროსაბჭო, ევროკავშირის სასამართლო, ევროპის ცენტრალური ბანკი, აუდიტორთა სასამართლო და ევროპარლამენტი. ევროპარლამენტი აირჩევა ხუთ წელიწადში ერთხელ ევროკავშირის მოქალაქეთა მიერ. ევროკავშირის ფაქტობრივი დედაქალაქი არის ბრიუსელი.

ევროკავშირი აღმოცენდა ნახშირისა და ფოლადის საკითხთა ევროპული სათემო გაერთიანების და ევროპის ეკონომიკური სათემო გაერთიანების ბაზაზე, რომლებიც, შესაბამისად, 1951 და 1958 წლებში დაფუძნდა ექვსი ევროპული ქვეყნის მიერ. მომდევნო წლებში ორგანიზაცია და მისი სამართალმემკვიდრეები გაფართოვდნენ როგორც რაოდენობრივად – ახალი წევრი ქვეყნების მიერთების შედეგად – ასევე პოლიტიკურად დღის წესრიგში ახალი პოლიტიკური სფეროების დამატების გამო. მაასტრიხტის ხელშეკრულებამ ევროპული კავშირი აღნიშნული სახელწოდებით 1993 წელს დააფუძნა. ევროკავშირის სამართლებრივ საფუძველში უკანასკნელი ცვლილება 2009 წელს ლისაბონის ხელშეკრულებით შევიდა.

ევროკავშირმა შეიმუშავა და ახორციელებს საერთო ბაზრის კონცეფციას კანონების სტანდარტიზებული სისტემის საფუძველზე, რომელიც საერთოა ყველა წევრი ქვეყნისთვის. შენგენის ზონის ფარგლებში (რომელიც აერთიანებს ევროკავშირის წევრ 22 და წევრობის არმქონე 4 ქვეყანას) გაუქმდა საპასპორტო კონტროლი. ევროკავშირის პოლიტიკის მიზანია ადამიანების, საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფა, ერთიანი კანონმდებლობის ამოქმედება მართლმსაჯულებისა და შიდა პოლიტიკის სფეროებში და საერთო პოლიტიკის გატარება ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის, თევზის მრეწველობისა და რეგიონული განვითარების სფეროებში.

მონეტარული კავშირი, იგივე ევროზონა, 1999 წელს შეიქმნა და 17 წევრ ქვეყანას აერთიანებს. საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საფუძველზე ევროკავშირმა შეიძინა დამოუკიდებელი როლი საგარეო ურთიერთობებისა და თავდაცვის სფეროებში

გლობალური მასშტაბით. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ევროკავშირის მუდმივმოქ-მედი დიპლომატიური მისიები დაარსდა. ევროკავშირი წარმოდგენილია გაეროში, მსო-ფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, დიდ რვიანსა (G8) და დიდ ოცეულში (G-20).

ევროკავშირში 500 მილიონზე მეტი მაცხოვრებელია, რაც მსოფლიო მოსახლეობის 7,3%-ს შეადგენს. 2011 წელს ევროკავშირმა აწარმოა 17.6 ტრილიონი აშშ დოლარის ღირებულების ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი (GDP), რაც, მსყიდველობითი უნარის პარიტეტის პრინციპით დაანაგარიშების შემთხვევაში, გლობალური მასშტაბით წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის 20%-ს შეადგენს. ევროკავშირი 2012 წელს მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის მფლობელი გახდა.

სარგებელი, რომელსაც საქართველო ევროპული ინტეგრაციის შედეგად მიიღებს

ევროპული ინტეგრაცია არის პროცესი, რომელიც დაკავშირებულია გარკვეულ სარგებელთან და კომპლექსურ რეფორმებთან მასში ჩართული ქვეყნებისთვის. გარდამავალ პეროდში მყოფ საქართველოსთვის ევროპული ინტეგრაცია ქვეყნის მოდერნიზაციის გზაა, რაც რეფორმებთან დაკავშირებულ ხარჯებთან შედარებით უფრო მეტ სარგებელს მოუტანს.

ევროპული ინტეგრაციის შედეგად მოტანილი **სარგებელი** შეიძლება დავყოთ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ სარგებლად.

ეკონომიკური სარგებელი

- ეკონომიკური სტაბილურობა;
- შემოსავლებისა და ადამიანთა კეთილდღეობის ზრდა;
- საერთო ევროპული ბაზრის ხელმისაწვდომობა და ექსპორტის ზრდის შესაძლებლობა;
- კონკურენტუნარიანობისა და ეკონომიკურ საქმიანობათა ზრდა;
- ტექნოლოგიათა და მენეჯერული ნოუჰაუს გაცვლის სტიმულირება.

პოლიტიკური სარგებელი

- პოლიტიკურ სფეროში რეფორმებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;
- ადამიანის უფლებების განუხრელი დაცვა;
- ქვეყნის უსაფრთხოების ზრდა.

სოციალური სარგებელი

- შრომის, ჯანმრთელობის, გარემოს დაცვის უზრუნველყოფა ევროპული სტანდარტების დონეზე;
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მასობრივი დანერგვა;
- პროდუქტების და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.

პროექტი „აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნული პლატფორმების შესაძლებლობათა გაზრდა“

პროექტის საბოლოო მიზანია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მიმდინარე რეფორმებისა და დემოკრატიული ცვლილებების პროცესებში საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლის ზრდა, დასახული ამოცანების განხორციელებასა და მონიტორინგში მათი აქტიურად ჩართვის გზით.

პროექტის კონკრეტული ამოცანებია:

- აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნული პლატფორმების შესაძლებლობათა ზრდა;
- აქტიური სოციალური დიალოგის სტიმულირება სოციალურ პარტნიორებს შორის, სამოქალაქო დიალოგის გაღრმავება კერძო და სახელმწიფო სექტორებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა შორის;
- აღმოსავლეთ პარტნიორობის ამოცანების განხორციელების პროგრესის მონიტორინგი;
- ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთობათა პროგრესის მონიტორინგი.

პროექტი ხორციელდება საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კონსორციუმის მიერ, რომელსაც სათავეში უდგას მოლდოვას გარემოსდაცვითი რეგიონული ცენტრი. **საქართველოდან პროქტის პარტნიორია ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“.**

პროექტის მოსალოდნელი შედეგებია:

- უფრო ძლიერი და ეფექტური ეროვნული პლატფორმები, გაზრდილი პოლიტიკური შესაძლებლობები დროული და კონსტრუქციული წვლილის შესატანად აღმოსავლეთ პარტნიორობის მთავრობათაშორის პლატფორმებსა და ექსპერტთა კომისიების მუშაობაში;
- ევროკავშირის მხარდაჭერით აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მთავრობათა ადამიანის უფლებების, მართლმსაჯულების, ეკონომიკური ინტეგრაციის, გარემოს დაცვისა და სხვა სფეროებში განხორციელებული პროცესების ორგანიზებული მონიტორინგი;
- აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის პოპულარიზება საინფორმაციო კამპანიებისა და საჯარო დებატების ორგანიზების გზით ექვს მონაწილე ქვეყანაში, სამოქალაქო საზოგადოების ფართო წრეების მონაწილეობით.